


140 / 2
1939

საბჭოთავო
გაზეთი

საბჭოთავო



1939წ.

№12



პიონერი

საპ. ალკა ცენტრალური კომიტეტისა და
საპ. განსახკომის ერთობიური უზრუნველყოფილი

დეკემბერი, 1939 წ. № 12

გამომცემლობა „კომუნისტი“, რედაქციის მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 34, ტელ. 3-02-61.

შინაარსი

	გვ.
1. სანდრო შლენტი,—აკვანი (ლექსი)	2
2. დავით ლუკაშვილი,—მოგონება ბელადის ყრმობიდან	3
3. ი. პაპანიანი,—ლაუვიწყარი შეხვედრები	5
4. გიორგი კახაჩიძე — ბელადის სახლი გორში (ლექსი)	8
5. ანა ხახუტაშვილი—ციგაობა (მოთხრობა)	9
6. ლილია მვგელიძე,—ძია სტალინის დაბადების დღე (ლექსი)	12
7. გ. კარაევი და ლ. უსპენსკი,—პიტერის მისასვლელები (ნაწივეტი რომანიდან) თარგმანი შ. თაბუკაშვილისა	13
8. ალ. სულაზა,—რას კითხულობდა სტალინი მოწაფეობისას (წერილი)	15
9. მოსწავლეთა შემოქმედება,—(ლექსები)	16
10. გასართობი	გარეკანის მე-4 გვ.

ჟურნალის გაფორმება და ყდის მხატვრობა
ეკუთვნის მხატვ. ი. ქოქიაშვილს.

პასუხისმგებელი რედაქტორი—მლ. აგლაძე

პასუხისმგებელი მდივანი—ნ. ხირაბიძე

გადაცა წარმოებას 11/XII 1939 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/I:1940 წ.

ქალაქის ზომა 62x92
ფორმათა რაოდენობა 20 გვ. 9¹/₁₆ x 14



3528

მხურვალე პიონერული საღამო ჩვენს საყვარელ მამასა და
მასწავლებელს, თანამედროვეობის უდიდეს ადამიანს, ამხანაგ
სტალინს, მისი დაბადებიდან 60 წლისთავზე!
კიდევ მრავალ წელს ცოცხლობდეს ძვირფასი სტალინი
ხალხთა საბედნიეროდ!



აკვანი

ხემ ტანი რომ აიშოლტა,
ვინ მოურწყო ფესვებს მიწა...
ვინ მოჭრა და გამოთალა
დიდებული აკვნის ფიცრად,

ვინ იცოდა, რა ყისმათზე
მზე ათბობდა ტყეში ლატანს,
ან ოსტატი რომელ ყრმისთვის
აკეთებდა ასეთ აკვანს.

საიდან და რომელი გზით
ქობს მოადგა ბედის წყარო...
ვინ დალოცა დედის ძუძუ:
„ძემ სამშობლო გაახაროს!“


დედამ ისევ, დედის გულმა
შვილს უმღერა ტკბილი ნანა,
რომ აკვნიდან მზის ამოსვლას
თან გრიგალი მოეტანა.

და რამდენჯერ დაუკოცნა
ტუჩები და ლერწმის ღერო;
თურმე, დედა ჩაგრულ ხალხსა
შვილს უზრდიდა სასახელოს.

ბავშვსაც მძივის ახარებდა
ვარსკვლავების მსგავსად ბრწყინვა...
არტახები დაუქარგა
დედამ ცელქს და სახემცინარს.

ვინ იცოდა, რა ყისმათზე
მზე ათბობდა მზისთვის ლატანს...
ან ოსტატი რომელ ყრმისთვის
აკეთებდა ასეთ აკვანს.

სანდრო შაენი




მოგონება ბელადის ყრმობიდან

პატარა ქალაქია გორი. ამ ქალაქში დიდ ქუჩაზე, როგორც მაშინ ეძახდნენ, სამღვდლოებამ ააშენა სასულიერო სასწავლებელი. წინათ სასწავლებელს ეზო გრძელი ჰქონდა. ეზოს ღიახევის მხარეს ბაღი ეკრა. ონაგარმა ღიახევა დიდი ხანი არ აბოგინა ეს ფართო ეზო, სასწავლებლის აშენებიდან სულ ორიოდე წლის შემდეგ ბაღი წაიღო, ეზოც კარგა ბლომად ჩამოაჭრა და თვითონ სასწავლებელსაც დაემუქრა. პატარა იყო ეს სასწავლებელი, პატარა ამბები ხდებოდა იქ, პატარა ფარგლებით იყო შეზღუდული მოწაფეთა წრე. პატარა გულეები სცემდნენ ხშირად სულ პატარა ამბების გამო. ამ პატარა არსებით ჰყავდათ თავისი გმირი. ეს გმირი უსაზღვროდ უყვარდათ პატარა გულეებს, იგი იყო მათთვის მისაბაძი არსება. მისი სახელი დიდსა და პატარას პირზე ეკრა. ბურთში, ლახტში, ჩალიჩში, დაკვრიანაში, წიანოში და სხვა თამაშობებში ის პირველი იყო. მუდამ „დიდად“ ირჩევდნენ და მუდამ ბელადობდა ამხანაგებს. ლახტის წრეში დგომის დროს მას ძნელად თუ ვინმე მოსტაცებდა ქამარს. უსათუოდ გაგვრიდა, თუ წაეტანებოდი მის ფეხებთან მდებარე ქამრის ასაღებად. იმას სუყველაზე უკანასკნელად წაართმევდნენ ქამარს. ჯერ სხვებისათვის უნდა დაეტყუათ ქამრები, ბოლოს ქამრებით ხელში მიუხტებოდნენ სოსოს და დაუშენდნენ წვივებში, მაგრამ ტყუილი იყო, იმას ცემით ვერ შეაშინებდი. ქამართან ახლო ედო მარცხენა ფეხი, იღვა გულად, ყურადღებას არ აქცევდა თავდამსხმელთა ყიჟინას და გამეტებით ქამრების ტრიალს. წარბშეუხრელად ითმენდა წვივებზე ქამრის ცემას და მიყენებულ ტკივილებს. მარჯვენა ფეხით ნიშანში იღებდა მომხდურებს, რომ რომელიმე მათგანი გაეჭრა. ან უცებ სწვდებოდა მოქნეულ ქამარს, გამოგლეჯდა ხელიდან მოწინააღმდეგეს, ან წრისკენ შემოითრევდა და გაჭრიდა, რის შემდეგაც დამშვიდებული გამოვიდოდა წრიდან და ღიმილით შეტყუებდა წრეში ჩასადგომად მიმავალ ამხანაგებს.

სიმღერა მშვენიერი იცოდა. გემრიელი, წვრილი, კრიალა ხმა ჰქონდა—დისკანტი და სასწავლებლის გუნდში პირველ მგალობლად ითვლებოდა. უნდა გენახათ, დიდ მარხვაში წირვა-ლოცვის დროს რამოდენა ხალხი აწყდებოდა სასულიერო სასწავლებლის ეკლესიას. ეს მხოლოდ იმიტომ, რომ იქ მშვენიერად

გალობდნენ. მოზღვავებულ ხალხს ეკლესია რომ ვერ დაიტევდა, ფართე დერეფანიც ივსებოდა და იქიდან უგდებდნენ ყურს საამურ საგალობლებს. ვინა მღეროდა და ვისი ხმა იზიდავდა გორელ ხალხს? ეს იყო სოსო. უმთავრესად დიდმარხვის მიწურულებში ასრულებდა გუნდი ხმატკბილ საგალობლებს და იზიდავდა ხალხს. სხვა დროს კი ცარიელი იყო ეკლესია. მაშინ მარტო მოწაფეები ვიკრიფებოდით ეკლესიაში. მოწაფეებს იძულებით გვატარებდნენ წირვა-ლოცვაზე, სასწავლებლის ეკლესიის ზარის რეკვას ნახევარი საათით ადრე იწყებდნენ და წირვა-ლოცვის დაწყებამდის არ შესწყვეტდნენ. მოწაფეები ვიცნობდით ჩვენი ზარის ხმას და გაგონებისთანავე გავეშურებოდით სასწავლებლისაკენ, რომ მიგვესწრო გვარების ამოკითხვაზე, თორემ სასჯელი მოგველოდა. ზარის ხმა ციხის უბანს იქითაც აღწევდა. შეგვეყრიდნენ ეკლესიაში, დაგვაყენებდნენ მწკრივად, კლასების მიხედვით. დაბალი კლასები წინ ვიდექით, უფროსი კლასები — უკან. რამდენიმე ზედამხედველი თვალყურს ადევნებდა მოწაფეებს, რომ უკანასკნელთ არ ელაპარაკათ და ხშირ-ხშირად ეწერათ პირჯვარი. ვიდექით მოწაფეები წირვა-ლოცვაზე, ვისმენდით ერთსა და იგივეს და ვიტანჯებოდით მეტის დგომისაგან. ხანდახან 5-6 საათს ვიდექით ფეხზე, გვეკეცებოდა ჯერ გაუმაგრებელი პატარა მუხლები, მივჩერებოდით კანკელის ერთსა და იგივე სურათებს, გვიწყალდებოდა გული, ვამთქნარებდით, ვიწერდით პირჯვარს, ვნატრობდით



სახლი, სადაც დაიბადა ამხანაგი სტალინი.

იმ წუთს, როდესაც უკანასკნელად გამოვიდოდა მღვდელი და ჩამოილოცებოდა, რომ მალე მოგვეკურცხლა შინისაკენ. მეტადრე საძნელო იყო დგომა დიდმარხვის უსიცოცხლო და გაუთავებელ წირვალოცვაზე. მაგრამ უნდა გენახათ, რა გამოცოცხლება დაეტყობოდათ ეკლესიის ამ პატარა ტყვეებს, რა სიამოვნების გამომეტყველებით აზიზინდებოდა მათი თვალები, რა სიხარულის ცემას მოჰყვებოდნენ მათი ჩვილი გულები, როცა ტრიო გამოვიდოდა საგალობლად, რომელშიც ერია მოწაფეთა სათაყვანებელი სოსო. სამი მგალობელი საყდრის შუა ალავს დადგებოდა და იწყებდა გალობას. გვინდოდა დიდი ხანი გავრძელებულიყო მათი სიმღერა, გვინდოდა დიდი




ამხანაგი სტალინი მოწაფეობისას.

ხან რას ვიცოდით, რომ სოსო ჯულაშვილიც, უფროსი კლასის მოწაფე, ხატავდა. ძალიან მინდოდა მენახა სოსოს ნახატები. ერთხელ, ხანგრძლივიავად მყოფობის გამო, კაი ხანი სკოლაში არ დავდიოდი. მოწაფეებში გავრცელდა ხმა: ჯულაშვილმა ისეთი სურათი დახატა, რომ მასწავლებლები გააკვირვდნენ. მე ავუტყუდი ჩვენ შეგირდებს, რომელნიც სოსოს ტოლები იყვნენ, მოეტანათ ერთ-ერთი მისი ნახატი. ბევრი ლოდინის შემდეგ თხოვნა შემისრულდა. სურათი მომიტანა მოწაფე სიკო ბეჟანიშვილმა. ძალიან თხელ, სიფრიფანა ქალაქზე იყო დახატული. ჩემზე, როგორც მახსოვს, იმ სურათს დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია, არც შეიძლება მოეხდინა, რადგან ნახატის პირველი

ხანი დავმტკბარიყავით მათი ხმის ნავარდით. ის წუთები, როცა იმ ეკლესია-კატორღაში გაისმოდა ტრიოს შეხმატკბილებული გალობა, ძვირფასი იყო ჩვენთვის. აღარც დადლილობა, აღარც გულის ქარაოტი, აღარც მოწყენილობა — ყოველივე გვაფიწყდებოდა და დროგამოშვებით თავმომწონედ გავხედავდით ხოლმე გარეშე ხალხს, რომელთა სახეებზედაც მომღერალთაგან გამოწვეული აღტაცება იყო აღბეჭდილი. დიდ სიამაყეს ვგრძნობდით, რომ გორში ყველა სასწავლებელზე უკეთესი გუნდი ჩვენა გვყავდა, რომ ჩვენი მომღერლის მოსასმენად ამოდენა ხალხი ეტანებოდა ჩვენი სკოლის პატარა ეკლესიას.

მრავალი ნიჭით იყო სოსო დაჯილდოებული. ასე გასინჯეთ, ხატვის ნიჭიცა ჰქონდა. მე მამა ორი წლისას მომკვდომოდა. დედა ძალიან ღარიბი მყავდა. შეგირდებს იბარებდა დედაჩემი, უკლიდა, ასმევდა, აკმევდა და ამაში აღებული ფულით ოჯახსაც ინახავდა. მე მაშინ დაბალი კლასის მოწაფე ვიყავი. მიყვარდა ხატვა და ხან რას ვბლაჯნიდი,

მობახულობა, მხოლოდ კონტური იყო შესრულებული. როცა გამოვთქვი ჩემი მიუღვამელი შთაბეჭდილება სურათის შესახებ, სოსოს ამხანაგებმა შორს დამიჭირეს: ეს სურათი რა არის, აბა შენ სხვებიცა ნახე და მაშინ იტყვი, კარგ სურათებს ხატავს სოსო, თუ არაო. მალე გამართლდა მათი სიტყვები. ერთხელ, დიდ დასვენებაზე, სასწავლებლის დაბალ სართულში, ეზოში გასასვლელი კარების მარცხნივ, კარცერის ახლო მოწაფეები შეჯგუფებულნი იყვნენ, სოსო შუაში მოემწყვდით და დაჟინებით აცივდებოდნენ: მცე მაჩვენე, მეც მაჩვენე! სოსო ცდილობდა გაეთავისუფლებინა თავი გარშემოხვეული ამხანაგებისაგან, მაგრამ რომ დარწმუნდა ადვილი არ იყო მათგან გასხლტომა, გაშალა დახვეული ქალაქი. ქალაქზე ფერადებით მშვენივრად იყო გამოხატული რაღაც ისტორიული ეპიზოდი. ეს სურათი კი ძალიან მომეწონა და დავრწმუნდი, რომ ხატვის ნიჭიცა ჰქონდა სოსოს. აქ უნდა დავძინო, რომ ხატვას სკოლაში არ გვასწავლიდნენ და თავისით ხალისობდა სოსო ხატვას.



დაუვინყარი შეხვედრები

ყოველ წელს დავდიოდით დიად პროლეტარულ დღესასწაულებზე ჩვენ, წითელი პარტიზანები და წითელგვარდიელები, წითელ მოედანზე. ჩაფუვლიდით ხოლმე მავზოლეუმს, რომელზედაც იდგა **სტალინი**, და მთელი ჩვენი ფიქრი და აზრი მასთან, ჩვენს მშობლიურ მამასთან და მეგობართან იყო.

და ყოველთვის, როცა მოედანს ვტოვებდი, თან მომქონდა ძვირფასი ოცნება — ოდესმე მენახა იგი ახლო, სულ ახლო, მელაპარაკა მასთან, მომესმინა მისი ხმა...

კრემლში იხილავდნენ საკითხს ჩრდილოეთის პოლუსით ჩვენი მფრინავების ჩრდილოეთ ამერიკაში გადაფრენის შესახებ. მფრინავები ისწრაფოდნენ რაც შეიძლება მალე გაეკვლიათ ტრანსპოლარული ტრასი, და მაშინ **იოსებ ბესარიონის-ძე** ჩვეულებრივი სტალინური სიბრძნით დაინტერესდა იმით, თუ ვინ და როგორ გადასცემს ცნობებს მთელს ამ ურთულეს ტრასზე არსებული ამინდის შესახებ. ასე წარმოიშვა პრაქტიკულად არქტიკის შუაგულში — მოდრეიფე ყინულებზე სადგურის ორგანიზაციის გეგმა. **სტალინი** იკითხა, შეუძლიათ თუ არა საბჭოთა პოლარელებს მოაწყონ ასეთი სადგური. „დიდა, შეუძლიათ“. სხვანაირი პასუხი შეუძლებელი იყო.

შემდეგ, როცა დავიწყეთ ექსპედიციის მზადება, ამხანაგი **სტალინი** ყურადღებით გამოიკითხავდა ხოლმე თვითეული მონაწილის შესახებ, მომზადების ყოველი წვრილმანის შესახებ. **სტალინის** ზრუნვა და ყურადღება შთაგვაგონებდა და გვაფრთოვანებდა.

იქაც, მოდრეიფე ყინულზედაც, ჩვენ ვგრძნობდით ბელადის დახმარებას. ჩვენ მივიღეთ რადიოგრამა იმ ადამიანისაგან, რომლის გენიოსობას ჩვენ ყველანი მივყევართ სიხარულისა და ბედნიერების გზით. ამხანაგი **სტალინი** და პოლიტიბიუროს წევრები გვწერდნენ: „ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩრდილოეთის პოლუსზე დარჩენილი გმირი მოზამთრეები ღირსეულად შეასრულებენ ჩრდილოეთის პოლუსის შესწავლის ამოცანას, რომელიც მათ დაკისრებული აქვთ. ბოლშევიკური სალამი ჩრდილოეთის პოლუსის მამაც დამპყრობლებს!“

სიყვარულითა და მზრუნველობით გამსჭვალული ეს სიტყვები ჩვენ ერთი წუთითაც არ დაგვივიწყნია მთელი ცხრა თვის ღრეიფის განმავლობაში. ეს სიტყვები აკაჟებდნენ ჩვენს ნებისყოფას, გვაფრთოვანებდნენ თავდადებული შრომისათვის.

და მთელი ღრეიფის განმავლობაში ჩვენ ერთი წუთითაც არ გაგვშორებია **სტალინის** სახე. კარავში ჩვენს სასთუმალთან ეკიდა მისი პორტრეტი. იგი

ღიმილით გვიცქერდა ჩვენ და თითქოს გვამხნევებდა, გვეხმარებოდა ამ მძიმე, დაძაბულ შრომაში.

იგი თითქოს პირადად იყო ჩვენთან კარავში, იზიარებდა ჩვენს სიძნელებებს და გვეხმარებოდა მათს დაძლევაში. დღესასწაულებზე, როგორი ამინდიც უნდა ყოფილიყო, თუნდაც პურგა, რომელიც ფეხზე არ გვაჩერებდა და სუნთქვას გვიკრავდა, — ჩვენ აღვმართავდით ხოლმე ალამს, რომელზედაც გამოხატული იყო ამხანაგი **სტალინი**.

შორეულ ყინულზე ჩვენ მუდამ ვგრძნობდით ამხანაგ **სტალინის** სიყვარულსა და მზრუნველობას. ჩვენი ბანაკი იმდენად პატარა იყო, რომ ურადიოდ მისი მოძებნა შეუძლებელი იქნებოდა. კაპიტალისტურ ქვეყანაში მალე დაივიწყებდნენ იმას, რომ სადღაც წყვილია და ქარიშხლიან ამინდში მსხვერველად ყინულზე მეცნიერების სახელით სიცოცხლისათვის იბრძვის ოთხი ადამიანი. სულ სხვაა ჩვენში, სოციალიზმის ქვეყანაში. თებერვლის პირველ რიცხვში ჩვენ მოსკოვიდან მივიღეთ დეპეშა იმის შესახებ, რომ შექმნილია კომისია ყინულიდან ჩვენს გადმოსაყვანად, და კიდევ ერთხელ ვიგრძენით **სტალინის** ნებისყოფა, მისი ყურადღება. და ჩვენ ვიცოდით, რომ შეგვიძლია გულდამშვიდებით განვაგრძოთ მუშაობა.

ღრეიფის დასასრულს ჩვენი ყინული უდიდესი სისწრაფით მიექანებოდა. მცირეოდენი დაყოვნება უბედურებას გვიქადდა. ოკეანეში ჩვენი ხსნა შეუძლებელი იქნებოდა. და მხოლოდ **სტალინის** მზრუნველობას, მის განსაკუთრებულ სიმტკიცეს შედეგად მოჰყვა ის, რომ ჩვენ დროზე გადმოგვიყვანეს ყინულიდან.

და იმ დღეს, როცა ჩვენ საბჭოთა ხომალდებზე გადავედით, რადიომ მოგვიტანა **სტალინისა** და მის თანამებრძოლთა სალამი: „პაპანინს, შირშოვს, კრენკელს, ფედოროვს.“

მოგილოცავთ პასუხსაგები დავალების წარმატებით შესრულებას.

მთელი ჩვენი ქვეყანა ამაყობს თქვენი გმირული მუშაობით.

ველით თქვენს დაბრუნებას მოსკოვში. ძმური სალამი!“

17 მარტს მოსკოვს ვბრუნდებოდით. კრემლის ძველ კედლებს ვუახლოვდებოდით. არაჩვეულებრივმა მღელვარებამ შემიპყრო: კრემლში მივიღივარ, **სტალინთან**, მშობლიურ **სტალინთან**. ახლა ჩემი სასწრაფო ოცნება!

გიორგის დარბაზის კარი გაიღო. ყოველი მხრიდან მოღიშარი, მეგობრული სახეები გვიცქერიან.



გაისმის „ვაშა“ და მუსიკა. მე მივდიოდი და ხელში მეჭირა ბამბუკის ტარი, რომელზედაც გაკეთებული იყო პოლუსიდან წამოღებული ჩვენი დროშა. უკან ჩემი ძმობილები — შირშოვი, კრენკელი და ფედლოროვი მომყვებოდნენ.

და აი უეცრად იგრიალა არაჩვეულებრივმა ძლიერმა ტაშმა. ოვაციისა და „ვაშას“ გრიალში შემოვიდნენ დარბაზში ამხანაგი სტალინი და პოლიტიბიუროს წევრები.

მღელვარებისაგან ეთრთოდი. ჩემი გული სიხარულს ვეღარ იტევდა...

ამხანაგი მოლოტოვი ილიმებოდა, გვანიშნა ადგილი დაგვეკავებინა პრეზიდენტში. და აქ ისეთი წუთი დადგა, რომელიც არასოდეს არ დამავიწყდება: იოსებ ბესარიონის-ძე გადამეხვია და მაგრად გადაამკოცნა. გადაგვეხვივნენ ამხანაგი მოლოტოვი და პოლიტიბიუროს ყველა წევრი. ყველანი ზედიზედ გულში გვიკრავდნენ.

აღლევებულმა გადავეცი ამხანაგ სტალინს წითელი დროშა და ვთქვი: ნება მიბოძეთ გადმოგცეთ დროშა, რომლითაც ჩვენ გავიმარჯვეთ და რომელიც ენერგიასა და ნებისყოფას გვმატებდა სტიქიასთან ბრძოლის დროს. თქვენი დავალება პირნათლად შევასრულეთ!

ამხანაგმა სტალინმა გვერდით მომისვა.

— შესანიშნავი მუშაობისათვის, გამარჯვებისათვის, — თქვა იოსებ ბესარიონის-ძემ და ჭიქა ასწია. — სამუშაო ძნელი იყო, მაგრამ დარწმუნებული ვიყავით, რომ თქვენ პირნათლად შეასრულებდით მას!

შემდეგ მან გვიამბო, თუ როგორ განიცდიდა მთელ მრავალმილიონიან ხალხთან ერთად ჩვენი ღრეიფის უკანასკნელ დღეებსა და კვირებს.

— ბევრი რამ განვიცადე თქვენს გამო, — თქვა დასასრულ იოსებ ბესარიონის-ძემ.

— იოსებ ბესარიონის ძე, — ვუპასუხე მე, — თქვენ ყველაფერი გააკეთეთ ჩვენთვის!

— არა, — მიპასუხა მან, — ჩვენ ცოტა რამ გავაკეთეთ თქვენთვის. საჭირო იყო ბაზა შეგვექმნა გრენლანდიის ზღვაში.

— ეგ მართალია, — ვუპასუხე მე, — მაგრამ მეცნიერების აზრით რომ ჩვენ ამერიკის ნაპირებთან უნდა წამოვედეთ ყინულს, ვინ მოიფიქრებდა, რომ გრენლანდიის ზღვაში ამოვყოფდით თავს?

ცოტა ხნის შემდეგ ამხანაგი სტალინი წამოდგა. ყველამ თვალი მას მიაპყრო. იგი თავისი დინჯი ნაბიჯით გაემართა მაგიდისაკენ, რომელსაც ჩვენი ცოლები უსხდნენ. რალაც ჰკითხა მათ; რა ჰკითხა, — ჩვენ არ გავვიგონია. ვხედავდით, რომ იგი მხიარულად იცინოდა, როცა ჩვენს დარცხვენულ ცოლებს ელაპარაკებოდა. მერმე ხელი მოჰკიდა ერთს, მეორეს და ოთხივენი ჩვენს მაგიდასთან მოიყვანა. მან გვთხოვა ჭიქები შეგვევსო და ჩვენი ცოლების სადღეგრძელო წარმოთქვა.

ცოტა ხნის შემდეგ იოსებ ბესარიონის-ძემ შეიტყო, რომ დარბაზში მამაჩემი იმყოფებოდა. ისიც

მიიწვია პრეზიდენტის მაგიდასთან და ძალიან აღტყინებულ სიანად შეეგება.

რა ხშირად მაგონდება ყოველივე ის, რაც ამ არაჩვეულებრივ საღამოს მოხდა კრემლში. ამხანაგ სტალინთან შეხვედრა ჩემს მეხსიერებაში დარჩა, როგორც ყველაზე ძვირფასი, არაჩვეულებრივი მოვლენა. ჩვენ გვხიბლავდა სტალინის უბრალოება, მისი განსაცვიფრებელი ბუნებრივობა, გულითადობა, გვხიბლავდა მისი თვისება, რომ იგი დიდი და მნიშვნელოვანი საკითხიდან შეუშინევლად გადადის პატარა და ჩვეულებრივ რამეზე, უდიდესი თავისი სამუშაოდან — მხიარულებასა და დასვენებაზე.

იმ საღამოს იოსებ ბესარიონის-ძემ სიტყვა წარმოთქვა, რომელიც სამუდამოდ დარჩა ჩემს მეხსიერებაში. იგი ლაპარაკობდა საბჭოთა ადამიანების მამაცობაზე, გმირობის სათავეებზე...

...დიადი სიბრძნისა და საბჭოთა ადამიანისადმი დიადი სიყვარულით იყო გამსჭვალული ეს სიტყვა. მან წარმოთქვა იმ ადამიანთა სადღეგრძელო, რომლებსაც სამშობლოს სასახელოდ სურთ იცხოვრონ და იბრძოლონ. მან ჭიქა ასწია და ადღეგრძელა ყველა გმირი — მოხუცი და ახალგაზრდა, ყველანი, ვინც წინსვლას არ ივიწყებს, ადღეგრძელა ჩვენი ტალანტები, ახალგაზრდობა, რადგანაც ძალა ახალგაზრდებშია.

შემდეგ მაცნობეს, რომ კოზლოვსკის შესახვევში, იმ სახლთან, სადაც მე ვცხოვრობდი, ხალხი შეკრებილიყო. მე ვეუბნები:

— იოსებ ბესარიონის-ძე, ხალხი მელოდება, მეზობლები, მთელი ქუჩა შეკრებილა ბაირალებით, წავიდე თუ არა?

რამდენიმე წუთის შემდეგ მხურვალედ გადავკოცნე, მოვეხვიე ამხანაგ სტალინს და სამუდამოდ გახარებული და ბედნიერი გამოვედი კრემლიდან.

კარგახნის შემდეგ როგორღაც ამხანაგ მიქოიანის სამდივნოში შევიარე.

აქ ჩვენი ღრეიფის დროს თავმოყრილი იყო ყინულიდან ჩვენი ოთხეულის გადმომყვანი შტაბის მუშაობა. სამდივნოს მუშაკებმა მიაბეს, თუ რა დიდ მონაწილეობას იღებდა ჩვენს ბედში ამხანაგი სტალინი, როგორ ღელავდა ჩვენს გამო, გამოიკითხავდა ხოლმე, თუ როგორ მიმდინარეობს მუშაობა, რა დებეშებია მიღებული ჩვენგან. შედიოდა ოთახში, გაიხდიდა ფარაჯას, დაჯდებოდა კუთხეში და წყნარად იკითხავდა:

„არის თუ არა რაიმე ახალი?“

1938 წელს კვლავ შეგხვდი ამხანაგ სტალინს. წყდებოდა სედოველთა წამოსაყვანად ყინულმჭრელ „იოსებ სტალინის“ გაგზავნის საკითხი. შემოდგომა მიწურული იყო. სედოველები დიდ განედზე იყვნენ. და ჩვენ ერთხელ კიდევ დავინახეთ ბელადის სიბრძნე და სერიოზული შორსმჭვრეტელობა. იოსებ ბესარიონის-ძემ მითითება მოგვცა ყინულმჭრელის გაგზავნის შესახებ და დასძინა: როგორც კი ყინულებისაგან საფრთხე იქნება მოსალოდნელი, კაპიტანი მაშინვე უნდა დაბრუნდესო. ასეც მოხდა: ყი-

ნულმჭრელი მძიმე ყინულებამდე მივიდა და გამო-
ბრუნდა. **სტალინის** მითითება რომ არ გვექონოდა,
გემი გზას განაგრძობდა და უეჭველად ყინულებში
დაიხამთრებდა.

მესამედ ამხანაგ **სტალინს** უმაღლესი სკოლების
მიღებაზე შევხვდი. ამ შეხვედრამ რაღაც განსაკუთ-
რებული, არაჩვეულებრივ ძლიერი შთაბეჭდილება
მოახდინა ჩემზე. მრავალმა ორატორმა ილაპარაკა—
პროფესორებმა, მეცნიერების წარმომადგენლებმა.
უეცრად ამხანაგი სტალინი წამოდგა (მეტად
დაღლილი იყო), მიკროფონთან მივიდა და ლაპა-
რაკი დაიწყო. იგი სიტყვას კი არ ამბობდა, არა-
მედ სწორედ გვიამბობდა—დინჯად, სადად. მე თით-
ქმის გვერდში ვუდექი და ყურადღებით ვუცქერო-
დი მას, ვუსმენდი, მეშინოდა ერთი სიტყვაც კი არ
გამომრჩენოდა. ეს თითქოს უაღრესად ჩვეულებრი-
ვი მისალმება გადაიქცა უღრმესი აზრით აღსავსე,
მის ერთერთ უაღრესად შესანიშნავ სიტყვად—სიტ-
ყვად ნოვატორობის შესახებ.

ამ შეხვედრის შემდეგ ისეთ მღელვარებას განვიცდი-
დი, რომ კრემლიდან გამოსული დილაშუალო დავეხე-
ტებოდი მოსკოვის ქუჩებში.

ამხანაგ **სტალინს** მეოთხედ გრიზოდუბოვას, ოსი-
პენკოსა და რასკოვას მიღების დროს შევხვდი.
მიღება გრანოვიტის დარბაზში გაიმართა, ვიწრო
მაგიდებს შორის ძლივს ვეტეოდით. მრავალ ხალხს
მოეყარა თავი. დარბაზი კი პატარაა. ვიწროდ ვსხედ-
ვართ, ვსაუბრობთ. ვხედავთ, რომ ამხანაგი
სტალინი წამოდგა სუფრიდან.

—გაუმარჯოს მშრომელთ, საბჭოთა ადამიანებს,
რომლებიც არქტიკაში მუშაობენ, — თქვა მან და
მაკოცა. მე ავღელდი, მინდოდა მიკროფონთან მივ-
სულიყავი, რამდენიმე სიტყვა მეთქვა და... ვერ შევ-
ძელი.

მე ვუბასუხე:

— ძვირფასო, მშობლიურო, დიდად საყვარელო
მამავ, იოსებ ბესარიონის-ძეგ! ყველა პოლარელის
სახელით გაძღვეთ სიტყვას, რომ ღირსეულად გა-
ვამართლებთ თქვენს ნდობას.

სტალინურ მზრუნველობას ცოცხალ ადამიანზე
საზღვარი არა აქვს.

შეიძლება ითქვას, **სტალინის** ყველაზე განსაცვიფ-
რებელი და შესანიშნავი თვისება ის არის, რომ
ყველა და ყველაფერი ახსოვს. იმათ, ვინც ამ დიდ
ადამიანს ხვდებიან, კარგად იციან, თუ რა არის
სტალინური მზრუნველობა. მე მუდამ ვგრძნობ ამ
მზრუნველობას.

შარშან გულის ავადმყოფობა გამომაჩნდა. როგორც
კი მთავრობას აცნობეს, რომ ჩემს სამუშაო კაბი-
ნეტში გულის ფრიალი ამივარდა, ამხანაგმა მიქო-
იანმა ბრძანება გასცა დაუყოვნებლივ წავეყვანეთ
საავადმყოფოში. ექიმები დაჟინებით მოითხოვდნენ
დაუყოვნებლივ ამელო შევებულება და მკურნალობა
დამეწყო, მაგრამ მე მათ არ დაუფუჯერე, რადგან
სამუშაო ბევრი იყო, და მხოლოდ შემოდგომის მი-
წურულში გავემგზავრე კისლოვოდსკოში სამკურნა-



ამხანაგი სტალინი პარტიის მეორე ყრილობის პერიოდში

ლოდ. მაგრამ იქ მიტინგებზე გამოსვლა და მოხსენე-
ბის გაკეთება მომიხდა. გულმა ვერ აიტანა დატვირ-
თვა და ლოგინში ჩავწექი. საქმე ცუდად იყო, ქა-
ფურით მაბრუნებდნენ, და ექიმებმა უკვე დაკარ-
გეს ჩემი მორჩენის იმედი, მოსკოვიდან თვითმფრი-
ნავებით ჩამოვიდნენ პროფესორები.

ერთ ღამეს მოულოდნელად მომდის ამხანაგ
სტალინის დეპეშა:

„ამხანაგ პაპანინს. გაუწყებთ ცენტრალური კო-
მიტეტისა და სახკომსაბჭოს 29 დეკემბრის გადა-
წყვეტილებას: 1) ავადმყოფობის გამო აეკრძალოს
პაპანინს ყოველგვარ კრებებზე გამოსვლა მკურნა-
ლობის განმავლობაში. 2) დაევალოს სანატორიუ-
მის დირექტორს კოროტკოვს დაუყოვნებლივ შეზ-
ღულდოს, ან სრულიად შეწყვიტოს პაპანინის მიერ
ნარზანის აბაზანების მიღება. სსრ კავშირის სახ-
კომსაბჭოს თავმჯდომარე მოლოტოვი. ცენტრალუ-
რი კომიტეტის მდივანი სტალინი.“

ეს დეპეშა რომ წავიკითხე, თავი ვერ შევიმაგრე
და ავტირდი. სტალინურმა მზრუნველობამ გულის
სიღრმემდე ამაღელვა. როგორი მესხიერება უნდა
ჰქონდეს, როგორი გული უნდა ჰქონდეს, რომ მრავალ
ურთულეს სახელმწიფო საქმეს შორის ხალ-
ხზე, ადამიანზე იზრუნოს.

ნარზანის აბაზანები მე მართლაც არ უნდა მიმე-
ლო, და ამაშიც მართალი გამოდგა ამხანაგი **სტალინი**.

მეორე ეპიზოდი ჩვენი პარტიის XVIII ყრილობის
პერიოდს ეკუთვნის. მე წილად მხვდა ბედნიერება
ამ ისტორიული ყრილობის დელეგატი ვყოფილიყა-
ვი, ჩავეწერე კამათში გამოსასვლელად. მინდოდა
ყრილობის ტრიბუნიდან დელეგატებისათვის, მთელი
საბჭოთა ხალხისათვის გამეზიარებინა ჩემი აზრები



ჩრდილოეთის საზღვაო გზის ათვისების შესახებ, გამეცნო მათთვის ყველა საბჭოთა პოლარელის მიწა-წრაფებანი. და აქ ერთხელ კიდევ ვიგრძენი მთელი სიძლიერით, რომ საყვარელი სტალინის და-უცხრომელი ყურადღების ქვეშ ვიმყოფებოდი. ვიდრე სიტყვას მომცემდა, ამხანაგმა სტალინმა ამხანაგ პოსკრებიშვილის საშუალებით იკითხა:

— ექიმებმა ნება დართეს, რომ გამოვიდეს? ძალიან ახლო მომიხდა ამხანაგ სტალინთან შეხვედრა სულ ახლახანს, პირველი ცხენოსანი არმიის წლისთავის დღესასწაულზე. პირველად ვხედავდი ამხანაგ სტალინს არა დიდი მიღების დროს ან დღესასწაულზე, არამედ ჩვეულებრივ შინაურულ პირობებში, პირველი ცხენოსანი არმიის ერთერთი ხელმძღვანელი მუშაკის უბრალო პატარა აგარაკზე, მისი დაბადების დღეს. ძლიერი ყინვის გამო გვიან მივედი.

ამხანაგმა სტალინმა დამინახა:
— აა, ჩვენი ძაობილი! ჩქარა, ჩქარა. რამდენი დაიგვიანე!
ნელა და დინჯად, ენით გამოუთქმელი გულითაღო-

ბითა და სიყვარულით ლაპარაკობდა იგი საბჭოთა ქვეყნის ცხოვრებაზე, გვიამბობდა პანების უღლისა და მონობისაგან სამუდამოდ განთავისუფლებული დასავლეთ ბელორუსიისა და უკრაინის ხალხთა შესახებ.

ლაპარაკი ჩამოვარდა სედოველებზე.
— არაფერი არ უნდა გამოგვეპაროს, ყველაფერი დროზე უნდა გავაკეთოთ, — თქვა იოსებ ბესარიონის-ძემ.

მე სიტყვა მივეც: ყველაფერი შესრულებული იქნება-მეთქი.

— მალე თქვენი დაბადების სამოცი წლისთავია, — ვუთხარი ამხანაგ სტალინს, — მთელ მრავალერიან და მრავალმილიონიან ხალხთან ერთად მთელი სულითა და გულით გისურვებთ კიდევ სამჯერ ამდენივე იცოცხლოთ მთელი მსოფლიოს ხალხთა საკეთილდღეოდ და სასიხარულოდ!

— რატომ ამდენხანს? — გაიცინა ამხანაგმა სტალინმა.

— თქვენ უკვდავი ხართ, — ვთქვი მე, — ჩვენო ძვირფასო მასწავლებელო და ბელადო!

გიორგი კაჭახიძე

ბელადის სახლი გორში

ეს ქვა, მიწა თითქოს იყოს
მოტანილი მერცხლის ფრთებით:
რა პატარა სახლი არის,
რა უბრალო ნაკეთები.

მაგრამ ასე რომელ დარბაზს
გაუთბია ხალხის გული!
აქ მზე იშვა ჩაუქრალი,
ქვეყნის შვება, სიხარული.

მან ამ ჭერქვეშ გაიღიმა,
ამოიდგა ჩვილმა ენა,

ამ სარკმლიდან დაინახა
შვის ამოსვლა, მერცხლის ფრენა.

აქ ისმენდა ჭექა-ქუხილს,
მუშის ლიღინს, ხეთა შრიალს,
დღის ნათელი, ღამე ბნელი
აქ პირველად გაარჩია.

ღამე დაგმო... ევიწროვა
ეს ჭერი და დედის კალთა,
ის გავიდა ამ კარიდან
და ქვეყანა გაანათა.





— ჰყვი, ჰყვი ჰყვი, — დაიჰყვილა თავგამოდებით ბელურამ, დაბალი სახლის სახურავიდან გამოფრინდა და სქლად დადებულ თოვლიან ხის შტოზე შესკუპდა. შტო ნაღვლიანად შეირხა და ფაფუკი თოვლის კუმში ძირს წამოვიდა.

— ჰყვი, ჰყვი! — კიდევ დაიჰყვილა ბელურამ.

დღუჩენები უკვე გაეღოთ. ცხვირგალურჯებული მედღუქნეები, „კიკიროზიანი“ ქუდებით, საქონლით სავსე მალაზიის კარებთან ტოკავდნენ, ფეხებს აბარტყუნებდნენ, რომ გათოშილ სხეულში მოძრაობით სისხლი უფრო სწრაფად აემოძრაებინათ.

— კაცო, ე გორელებს რა ღმერთი გაუწყრათ, ჯიბეები ისე რამ ამოუცარიელათ, რომ მალაზიაში ქუდი რომ შეუგდო, მაინც არ შემოდიან, გასძახა ოქონის ვიწრო და დაბრეცილ ქუჩაზე ბაზაზმა მელქომ მეთევზე ონიაშვილს, თან ისევ შეტოკდა, გალურჯებული ხელები პირთან მიიტანა და ღონივრად ჩაიორთქლა.

— ე, ძმაო, გაქრა ხალხის წინანდელი დოვლათი. დროება წახდა და ეს ყველაფერი იმის ბრალია, — გამოეპასუხა წინსაფრთიანი ვაჭარი და პატარა ბიჭს მიუბრუნდა:

— შენ რა გინდა, შვილო?!

— დედაჩემმა ერთი გირვანქა ხიზილალა, ერთი გირვანქა თართის დოში და ორი გირვანქა ზეთისხილიო! — ბიჭმა ფული გაუწოდა მედღუქნეს. ონიაშვილი მიტრიალდა და ყველაფერი ხელად აუწონა. ქონებჩამოღვენილი დოში ცალკე ქალაქში გაუხვია, ზეთისხილი ყურიან ქოთანში ჩაუყარა, გამჭვირვალე ქალაქში გახვეული ხიზილალა ქოთანს სარქველივით დახურა, თან ექვსი შაური ხურდა ხალათის უბეში ჩაუყარა და ბავშვი გაისტუმრა.

— რას ამბობ, კაცო, — მიუბრუნდა მეთევზე ბაზაზს ხელების წმენდით: — მე რომ ყაზარმებიდან თევზის დაკვეთა არა მქონდეს, პირდაპირ დავიღუპებოდი.

— მელქოჯან, ხედავ, მზე ამოვიდა, — გააწყვეტინა მათ სიტყვა მესამე, ახალგაზრდა, მედღუქნემ და ორივეს ზემოთ უჩვენა თვალის ჩაკვრით.

ონიაშვილმა წინსაფარი გაისწორა და უღვაშებზე დინჯად გადაისვა ხელი.

მელქომ ხელების ფშვინეტას უმატა, სახე გაეხსნა და თვალეები ცეცხლით აეგსო.

ზემოდან ქვემოთ ბეწვიანი ტალმით ლეჩაქურგადადგებული ლამაზი ქალი თოვლს ნელი ნაბიჯით მოაღრიკინებდა და ისე კოხტად მოდიოდა, წველს არ არხევდა.

სპეტაკ სახეზე გადაძაგრული წარბები, ძირს დახრილი, ხშირი წამწამები, მშვენიერი ცხვირი და ჭიკიჭიკი ტუჩები ისე ჰქარავდა, რომ კაცებმა ჯერ იტვინეს, მაგრამ ქალი რომ ფართოლელის მალაზიას დაჟებრისპირდა, მელქუა ცოტა უკან ჩამოდგა და ქალი მეტი თავაზიანობით მიიპატიჟა:

— მობრძანდით, მობრძანდით, თქვენი ჭირიმე, ყველაფერი ახალი და მშვენიერი: დიბეტის ატლასი, ზელიფონცკის ბარხატი, მხესავით ყვითელი ყანაოსი, ლიბერტინი, მოდნი სატინა, ცისკრის ფერი, მობრძანდით, მობრძანდით, — მიიყარა მელქუამ მლიქვნელური ხმით, მაგრამ ქალმა ისე გაიარა, წარბი არ შეუხრია.

— ვა, ვა! ეს მზეთუნახავი ვინ გაიმეტა, ამ დილაადრიან თოვლში ვინ გამოუშვა? — თქვა მელქუამ და პირი ისე ამწლაკუნა, თითქოს კვაწარახს დაეწაფაო.

— იცი, ეგ მანდილოსანი ვინ არის? — ჰკითხა მეთევზემ, როცა ქალმა დიდი ქურისაკენ გაუხვია.

— ვა, როგორ არ ვიცი! ხირგუანთ ფილუას ცოლია. მამაცხონებული ისე მიდის, ოქრომჭედლის ცოლი კი არა, მუხრან-ბატონის კნენა ეგონება კაცს.

— სილამაზით ბევრ კნენას გაახუნებს და ვინც უნდა იყოს, ვის რა საქმე აქვს?! — ნაწყენი კილოთი უთხრა მეთევზემ და დღუქნეში შეტრიალდა.

აგერ ახლა ოქონის შესახვევში პირველი ურემიც გაჩერდა.

— ჰაამო, შე თავმკვდარო, რა უშნოდ მიიზღაზნები! — მოისმა მიყრუებულ ქუჩაში მეურმის ხმა.

მეურმეს სახრე ილლიაში არდიგარდმო ამოეჩარა და ნაღვლიანი სახით ხარებს გვერდით მისდევდა. ურემზე ლოგინი იყო გაშლილი და წითელფოთლიანი საბნის ქვეშ მწოლარე ავადმყოფი ურმის ჯაყუხე ცარიელ რუმბივით ირყეოდა. ურმის კოფოსთან ჩალის კონა ყირამალა იდგა და წყნარად შრილებდა.

ძალს უცხო ადგილას კუდი ამოეძებინა, ურმის ქვეშ შემძვრალიყო და მოუსვენარი თვალეებით აქეთ-იქით იხედებოდა.



— ძმობილო, დობტური სააკოვი საითა ცხოვრობს? — ჰკითხა გლენმა ბაზაზს, ურემს წინიდან უყელა და ცოტახანს დუქნის წინ შეაჩერა.

— „ცარსკაზე“, ძმაო, „ცარსკაზე“, „საბრანის“, გვერდით დიდი სახლია და იქა ცხოვრობს, ვისაცა ჰკითხავ, ყველა მიგასწავლის, — უთხრა ბაზაზმა და ისიც დუქანში შეტრიალდა.

მეურმემ ურემი დასძრა და ქუჩაში ისევ სიჩუმე ჩამოვარდა, მაგრამ მხოლოდ წუთით. რვა საათი სრულდებოდა და მოწაფეები აქა-იქიდან რომ გამოჩნდნენ, გორის ქუჩებს სიცოცხლის ელფერი მათ შინ დაეტყო.

— არიქა, ბიჭებო, დღეს უყურეთ, რამდენ გოგოს ავატირებთ, გუნდებით ისე აფუწვავთ სახეს, რომ სულ ვაი დედა ვაძახებინოთ.

— გუნდაობა რად გვინდა, ბიჭო, აზირ ვიცივაოთ, იმას განა რა სჯობიან? — ჩაურთო სიტყვა მეორემ.

— ჯულაშვილო, იცი, მანველანთ რა დიდი ცივა გაუკეთებიათ? ექვს კაცს დაიტევს, ისეთი ზორბა რამ არის. გორის ციხეზე ავიდეთ და საღამომდე სულ ვიცივაოთ. არა, სოსო?

— ჰო, მაგრამ დღეს რომ ბერძნული არ იცი, ჩვენ ბნელიან მასწავლებელს ნეტა როგორ გადაურჩები? — უთხრა სოსო ჯულაშვილმა ამხანაგს და ეშმაკური ღიმილით შეხედა.

— ეხ, სოსოჯან, რა უშავს? — სიტყვა შეაწყვეტინა მესამე ბიჭმა. — დასაწყისი ხომ იცის: — „ვასილიე,

ურანიე, პარაკლიტი პიმას თის ალითიას“. ამას რომ იტყვის და მერე საფანელი რომ შემოაკლდება, ჩვენებური „კეკემალულას“ ბერძნული მიაყოლოს: — „ონი, ონი კაპიტონი, დერციკონი ნაპრიბოლი, ირიშკი, ბირიშკი, ჩიკორიშკი ვიდანო ონი“ — თქვა და მორჩა და გათავდა.

ბავშვებმა ხმამალა გადაიხარხარეს და ის მოკლე ქუჩა მათი სიცოცხლით საფეე წკრიალა ხმებით გაივსო.

— ჰო და რა, ბიჭებო, მართალი არ არის? ის ბერძნული ალითიე — ბალითიეც ჩვენთვის ისევე გაუგებარია, როგორც ონი, ონი კაპიტონია, — თქვა ისევ მესამემ და ბავშვები ქუჩის კუთხეს კიდევ მიუახლოვდნენ, ამ დროს ქვემოდანაც მხიარული კისკისი მოისმა.

— გოგოებო, აბა მიყურეთ, მიყურეთ მეთქი! მამსე არ არის დაბლვერილი და ესე არ აცანცარებს

თავსა? — ამ სიტყვებთან ერთად დაწინაურებული გოგონა ამხანაგებს მოუტრიალდა, შუბლი შეიკრა და თავი რომ ააცანცარა, ყველამ ხელახლა გადაიკისკისა.

თურმე ნუ ბრძანებთ, გოგონებს დიდ ქუჩაზე პროვიზნაზის ინსპექტორი, მართლა დაბლვერილი და თავცანცარა სტრელეკი რომ შეხვედროდათ, გოგონებს შიშით თოვლში რევერანსი გაეკეთებინათ, ერთ-ერთს სიჩქარით ფეხი წასხლტომოდა და კურტუკულმა რომ წაქცეულიყო, ბავშვები ახლა იმაზე იფხრიწებოდნენ სიცილით.

ამ სიცილით გოგონები კუთხეში ბიჭებს შეეყარნენ და ისე ეშმაკურად განაბეს სული, ვითომ და არაფერი იყო. მაგრამ ორივე მხარე ისე ჯადოსნურად, ისე ტკბილად იღიმებოდა, რომ გაზაფხულის პირველ მზის სხივს ჰგავდა იმათი ღიმილი.

— გოგო, ჯულაშვილი, შენი ჯულაშვილი! — წასჩურჩულა ერთმა გოგონამ მეორეს და ხელმეორედ უკან მოახედა. ამ თამამმა გოგონამ არც აცია, არც აცხელა, ცოტა განზე გახტა და ჯულაშვილს დაუყვირა:

— სოლოვეი, სოლოვეუშკა.

სოლოვეუშკაო, ბატონო, და ჯულაშვილი მთლად აფეთქდა: სწრაფად დაიკუზა, უშველებელი თოვლის გუნდა ხელად მაგრა მოსვრიმა და გაჯავრებული სახით ისეთი გამეტებით ესროლა, რომ გოგონამ ჩიტივით დაიჭყვილა.

— აბა, ბიჭებო, თუ ჩემი ამხანაგები ხართ, დაჰკათ მაგ თავწასულებს! — მიმართა სოსომ ბიჭებს

და შარავზახე ხელად გუნდაობა გაჩაღდა. ბიჭების რვა ხელი რომ სწრაფად ამუშავდა, საწყალ გოგონებს უკან დადევნებულმა ბიჭებმა ისეთი დღე დააყენეს, რომ გაჩენის დღე აწყვევლინეს. მეტადრე სოსო ჯულაშვილი როგორც კენჭებს, ისეთ გუნდებს ისროდა, ერთიც არ აუტყდენია. პატარა გოგონას სხეულზე, როგორც თარდაზე დიდ კეტს, გუნდებს ისეთი ზაპაზუპი გაუდიოდა.

— აჰა! კიდევ იტყვის სოლოვუშკაო, მოგხვდა თუ არა!— მოხიბებული გულით წარმოთქვა სოსომ, როცა გოგონები წივილ-კივილით გაფანტეს და უკანვე დაბრუნდნენ.

— რა ქნას, ბიჭო,— თქვა სიცილით გიგიტაშვილმა:— შენი სიმღერით ისეა აღტაცებული, რომ ჩვენი სასწავლებლის წირვა-ლოცვას ერთხელაც არ დააკლდება. მოვა საწყალი, „კლიროსთან“ აიტუზება ხოლმე და ისეთი თვალებით გიციქერის, რომ...

— მომწყდეს თავიდან, — წაიბურტყუნა სოსომ და გაიცინა. — ხომ ამოვიყარე ჯაფრი! ყურისძირში ისეთი მაგარი გუნდა ვთხლიშე, რომ თავის დღეში არ დაავიწყდება...

— შეილო სოსო, — მოესმა ამ დროს ქუჩის მეორე მხრიდან ვიღაც დედაკაცის შემოძახილი და სოსო გაჩერდა. დედაკაცი ბოლჩით ხელში აჩქარებული ნაბიჯით გამოქანდა ჯულაშვილისაკენ.

— უი, შენ გენაცვალე, რომ დღესვე შეგხვდი, — დაიწყა დედაკაცმა ქაქანით...

— სოსო, შენ თავშემოგველე, უნდა მიშველო რამე, ჩემ ბიჭს „ზაკონ ბოჟია“ თუ რაღაც ჯახრუჯანაბა, ისე თურმე უჭირს, რომ მღვდელს გარეთ გამოუგდია, თუ არ ისწავლი, კლასში აღარ შემოგიშვებო და ხომ დავილუბე, რომ მართლა აღარ შეუშვას. შენი ჯიგრების ჭირიმიე, სოსო, ოღონდ ეხლა დამეხმარე, ასწავლე და, ის შეილები დამეხოცოს, თუ პატივისცემა არ გადაგიხადო. აი ეხლა ტერტერასთან მივდივარ, სარეცხი უნდა გავურეცხო, მერე ხიდისთავში გავალ და იმისთანა შაქარივით ვაშლებსა და ატმის ჩირს გამოგიტან, შეილო, და სხვაფრითაც, რითაც კი შევიძლებ, შენ ამავს გადაგიხდი, შენი სახისა, ის ორი შვილი არ დამეხოცოს!

დედაკაცის დანაპირზე ბიჭებს გაეცინათ, სოსოს შერცხვა და უთხრა:

— რად მინდა ვაშლი, უვაშლოდაც კარგად ვასწავლი. დღეს სადილის შემდეგ გორაზე ცოტახანს საციგაოდ წავალ და იქიდან მე თვითონ გამოვივლი თქვენთან და უსათუოდ ვასწავლი, — უთხრა ჯულაშვილმა და დედაკაცს თავი გაარიდა.

— ჰო, ჰო, შენი ჭირიმიე, არ დაგავიწყდეს, სოსო, და მე ვიცი და ჩემმა სინდისმა.

კიდევ გაუმეორა თხოვნა წასულ ბიჭს ზურგთ უკან დედაკაცმა, დიდი ბოლჩა მხრებზე უფრო კარგად მოიგდო და ისიც თავის გზას გაუდგა.

სადილის შემდეგ დიდძალ ბავშვს მოეყარა თავი გორის ციხეზე და მიყრუებული ციხის უბანი ჟრიამულით აევსოთ. მალობიდან ციგ-

ები ციგებზე მოსრილებდა. რიგი ბავშვებისა გუნდაობდა, რიგი დარგვალბულ თოვლის ზეინსაგებებდა და გზადაგზა თოვლის გუნდაობდა. რიგი დიდებოდა, ბავშვები აღტაცებით გაჰკიოდნენ: — ხაზარდააა, ჩამოდექით, ხალხნო, არიქა, მეწყერი წამოვიდა და წაგლეკავთო.

მეორე ადგილას კი სოსო ჯულაშვილის ამქრები უფრო ზევით ასულიყვნენ, ვეებერთელა ციგას წამყვანად წინ სოსო უჯდა და განკარგულებას იძლეოდა:

— ჰა, ბიჭებო, მზადა ხართ? ჰა, თორემ საცაა დადქრამ! ტრინ, ტრინ, ტრინ! არიქა, ბავშვებო, განზე გადექით, თორემ მოდიის, მოდიის ჩვენი „პარავოზი“ — და მართლაც იმ დაფერდებული მალობიდან სოსო ციგას რომ დასძრავდა, როგორც ტყვია, ძირს ისე სწრაფად მოსრილებდა. ბავშვების წიოკობისაგან ყურთასმენა აღარ იყო, სოსოს ციგაზე ოთხი ბავშვი ეტეოდა და მესუთე კი თვითონ იყო. ეს ციგა სოსომ ორჯერ კიდევ გადააკოტრიალა, ბიჭები თოვლით სავსე ტაფობში ჩაყარა, ყველაზე უწინ თვითონ წამოხტა და ყირაზე დამდგარ ცარიელ ციგას რომ შეხედა, მხიარულად შესძახა: „ესე მტერი დაგეცალოთ“... ბიჭები ხარხარით წამოცვიდნენ, ზოგს ეკალზე კანჭი გაეკაწრა, ზოგი უხერხულად დაცემულიყო და, ცოტა არ იყოს, ფეხი სტკენოდა, მაგრამ კრინტი არავის დაუძრავს, ან რა დროს დაღრეჯა იყო, ტკივილისათვის ვიღას ეცალა, როცა ასე მხიარულობდნენ.

ბევრ ბავშვს პალტო არ ეცვა, ზოგს ტიტველა ფეხები ქუსლმოდრეცილ ფეხსაცმელში თოვლით ავსებოდა და როცა სიცივე ძვალსა და რბილში გაუჯდებოდათ, ქვემოთ გარბოდნენ, მთასთან მიდგმულ ლარიბი ხალხის პატარ-პატარა ალიზის სახლებს მიადგებოდნენ და ხელფეხს ბუხრებიდან ამოსულ სითბოსა და კვამლზე ილხობდნენ. ჯულაშვილი კი იმდენ ბავშვში მთავარსადრლის როლს ასრულებდა. სოსოს სიმარდე და სიმკვირცხლე, მისი ჭკვიანური მოსაზრება ყველას ქედს ახრევიებდა, მის განკარგულებას ყველა დაუყოვნებლივ ასრულებდა. აი ახლაც დაბინდებისას სოსომ ყველა ციგა ბი-



ქებს სულ ზემოთ აატანინა, ციგები ერთიმეორის მიყოლებით დაამწყკრივებინა და უკან მჯდომ ბიკს წინა ციგაზე მჯდომი ბავშვისათვის ზურგში ხელი მაგრად ჩააჭიდებინა და ჯაკვივით ერთიმეორეზე გადაბა.

— აბა, ბიჭებო, მატარებელი სადაცაა დაიძვრის... ტრინ, ტრინ, ტრინ,—ვითომ ზარი ჩამორეკა სოსომ და მემანქანედ ჩამოჯდა წინა ციგაზე.

— არიქა, წავედით, ყოჩაღად ისხედით, ბიჭებო! — შეუძახა კიდევ ჯულაშვილმა და დასრიალდა.

— ხელი არ გაუშვათ, ერთმანეთს მაგრად ჩაეჭიდებით და ისე მომყეთ... მომ... ყეთ... ურაააა! — ყვიროდა გახარებული სოსო და მკვრივი ფეხებით ციგას ისეთ გეზს აძლევდა, რომ ერთი არ გამრუ-

დებულა. მხოლოდ ძირს ჩამოსვლის დროს ზოგი ციგა მარცხნივ გაქანდა, ზოგი მარჯვნივ წაიღრიცა, ზოგი გვერდზე გადაბრუნდა, ზოგი ყირიმალა დაფრჭო და ატყდა ისევ ჟივილ-ხივილი.

უკვე დრო იყო დაშლისა და ბავშვები თავისი ციგებით და მზიარული ყიჟინით თავთავიანთ სახლებში წავიდ-წამოვიდნენ. ციხის უბანი ისევ დაყრუვდა მივარდნილ სოფელივით.

სოსომ დახურული ბაზრისკენ ჩაიარა, ფრანგების ეკლესიისაკენ გაუხვია და უცებ ნატა გაახსენდა.

— მართლა, იმ დედაკაცს რომ დავპირდი? ლარიბ-ლატაკი ხალხია და უნდა უსათუოდ დავეხმარო, — გაიფიქრა სოსომ და თავიანთი კარის მეზობელთან გაეშურა.



ლილია მებრალიძე

ძია სცალინის დაბადების დღე

ვიშ, ეს დილა, მზე ცინცხალი,
ბროლ-ფირუზი მოკაშკაშე,
ცის კრიალა ლურჯი თვალი,
სიო კალთებმოფარფაშე.

ვიშ, ეს დილა! დღეს დეკემბერს
ალარ სუსხავს, ალარ ყინავს,
თვით ეს ყინვაც დღეს ისე ჩქერს,
ვით მაისის შუქთა ბრწყინვა.

ნუში კვირტს შლის აღმასსხმული,
ალუბლები აფრქვევს ლალებს,

ზამთრის პირზე გაზაფხული
სად უნახავს კაცის თვალებს.

მხოლოდ ჩვენში, სადაც გმირი
იშვა... 'შრომა თაიგულობს,
მიწა ბრძოლებგადახდილი
ზამთარშიაც გაზაფხულობს.

დღეს სხვა გვატკობს ვარდ-სურნელი
სიხარულის ხმათა ჟღერის,
ფრთხილად გაჰკარ სიმებს ხელი,
დღეს ლექსები თვითონ მღერის.





პიტერის მოსასვლოები

(ნაწყობი რომანიდან „კულკოვის მერიდიანი“)

რომან „პულკოვის მერიდიანის“ მოქმედება წარმოებს 1919 წლის ზაფხულში, როდესაც თეთრი გენერალი იუდენიჩი, უცხოეთის ინტერვენტებთან ერთად, ინგლისისა და საფრანგეთის დახმარებით, ორჯერ ცდილობდა წითელი პიტერის (ლენინგრადის) ხელში ჩაგდებას.

იუდენიჩის პირველი შემოტევა იმავე წლის ივნისში გაცამტვერდა ამხანაგ სტალინის პირადი ხელმძღვანელობით. მეორე შეტევა პეტროგრადზე იუდენიჩმა შემოდგომაზე მოაწყო, მაგრამ პიტერის პროლეტარიატმა და წითელმა არმიამ იმავე გენიალური სტალინური გეგმით გაანადგურეს იუდენიჩი, მიუხედავად იმისა, რომ მუხანათი ზინოვიევი და მისი ამქრები ცდილობდნენ ჩაეშალათ დიდი ქალაქის დაცვა.

რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს სხდომა დანიშნულ ვადაზე ჩატარდა, ჩვიდმეტ მაისს. ამ სხდომაზე განიხილეს და გადაჭრეს პიტერის საქმეები. ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები გამოიტანეს. ქვეყნის ყოველ მხარეს, თეთრი არმიებით შემორკალულს, დაიგზავნა დეპეშები. პიტერის ფრონტი უცებ გახდა ყველაზე მნიშვნელოვანი. პიტერზე შეტევა მიჩნეულ იქნა ყველაზე უფრო საშიშად, ხოლო რევოლუციის პირველი ქალაქის ხსნა — გადაუდებელ, პირველი რიგის ამოცანად.

ეს სხდომა გვიან გათავდა. ერთი თუ ორი საათის შემდეგ კი წვრილცხვირა ცხელი ორთქლმავალი C — 213 თავისი პროექტორით უკვე აფრქვევდა სინათლის სვეტს სახაზავივით სწორი ნიკოლოზის გზის რელსებს. ამ ორთქლმავალს განსაკუთრებული ვაგონით მიჰყავდა მოსკოვიდან პიტერში ის, ვისაც პარტიამ და მთავრობამ, თავდაცვის საბჭომ და მისმა თავმჯდომარემ ვ. ი. ლენინმა ძიანდეს ამოცანა: რადაც არ უნდა დაჯდეს, რევოლუციას უნდა გადავურჩინოთ პეტრობურგო. მატარებელი რახრახებდა პირაპირებსა და ისრებზე, ჩახლეჩილი ხმით გაჰკიოდა ლამის ბნელ გადასასვლელებზე და ჩაუქროლებდა ხოლმე უკაცურ, მკრთალად განათებულ სადგურებს, სადენებით კი მას ეწეოდნენ და წინ უსწრებდნენ მოსკოვიდან გამოგზავნილი სასწრაფო განკარგულებანი.

„თავდაცვის საბჭოს რწმუნებული თქვენთან ჩამოვა თვრამეტს დღით... თავდაცვის საბჭოს რწმუნებული... ოცდაორს უნდა იყოს შტარმე-სემში, ნოვგოროდში. უზრუნველჰყავით გამგზავრება... თავდაცვის საბჭოს რწმუნებული...“

ლამით გრიგოლ ზინოვიევი ტელეფონით დაურეკა ველოკიმოვს.

— მ — მ — მ... გამიგონე... — თავს იკავებდა, მაგრამ ვაბრაზების დაფარვა არ ძალუძდა და წაიყუყუნა მილში. — ჰოდა ისევ იგივე... როდისთვის

გვაქვს იქ განზრახული... ის... ა... ჰო, საბჭოს პლენუმი... ცხრამეტისათვის? ოცდაორისათვის გადაიტანე... იმიტომ, რომ ის არ იქნება აქ იმ დღეს... აბა მე რა ვიცი? ნოვგოროდში გასეირნება ნებაგს... არა, კატეგორიულად! მე არა მაქვს განზრახვა... არა, პირდაპირ არ შემიძლია, ბოლოსა და ბოლოს, ამ კაცთან... .

ერთი თუ ორი საათის შემდეგ ბოლოგოეში ლამის მატარებლის ერთერთი მგზავრი ბაქანზე გასავლელად გამოვიდა, ვიდრე ორთქლმავალს შეცვლიდნენ. ის მივიდა დებარკადერის ბოლომდის, შედგენილობის თავამდის, და იქ გაჩერდა. წინ, ბრწყინავდნენ რა მოკლე, უკვე გალეულ მაისის ღამეში, პიტერისკენ გარბოდნენ რელსები. უკან, დაბლა, ენთო ფარანი. გაჩერებული კაცის უზარმაზარმა ლანდმა დაფარა ღიანდაგი, გაწვა ორი დედაქალაქის შემაერთებელ გზაზე და იქ შორს შეუერთდა ჩრდილოეთის ღამის ცოცხალ ნახევარსიბნელეს. ლანდი შუა ტანის კაცისა, მაღალყელიანი ჩექმებით, მხრებზე წამოსხმული მაზარით, თვალბეზე ენერგიულად ჩამოფხატული პატარა ქუდი. ის იდგა გაზაფხულის ღამის მზიარული გრილი სუნთქვით გარემოცული, ოდნავ შეეკრა შავი, მკაფიოდ მოხაზული წარბები სამხრეთელისა და ფიქრობდა. რაზე ფიქრობდა იგი?

ალბათ, იხსენებდა ყოველივეს, რაც უთხრა მას განშორების აჩქარებულ წუთებში ყველაზე ახლობელმა, ქვეყნიერებაზე ყველაზე ძვირფასმა ადამიანმა, მასწავლებელმა ლენინმა. იხსენებდა სხვადასხვა: ლენინის სიტყვებს, ბრძანებებს, განკარგულებებს, მისი მონაწილეობით გაცემულს, მის თვალწინ, წელიწადნახევრის უკან, ათას ცხრაას ჩვიდმეტის გასულს.

ისტორია მეორდება, მაგრამ ყოველთვის ახალ ყაიდაზე. პიტერში მაშინაც განვაში იყო. იარაღდებოდნენ ლენინის მოწოდებით ფეხზე დაყენებუ-



ამხანაგი სტალინი 1919 წელს.

ლი მუშები. ბალტიის ფლოტის ნაღმოსნები ზღვით შეუყვანენ ნევას, რომ, თუ საჭირო გახდებოდა, მტრისათვის გვერდიდან დაეკრათ. ლუგას უახლოვდებოდა კრასნოვი. გატჩინოს მახლობლად ისტერიულად დაწრიალებდა კერენსკი. ქალაქს თავს დასწოლოდა ყრუ შემოდგომა. და ამ არეგ-დარევაში, ამ ბურუსში, იმ კორიანტელში, რომელიც იდგა რუსეთის იმპერიის დანგრეული კედლების თავზე, ლენინის თვალმა მაშინ ყველაფერი დაინახა, რაც კი საჭირო იყო. ლენინმა მიიკვლია მტრის სუსტი მხარეები. მან თავისი სუსტი მხარეებიც დაინახა. მან მტკიცედ მიუშვა პირველ ბრძოლებში პირველი, ნაუცბათევად ჩამოყალიბებული ნაწილები. მან გადაარჩინა პიტერი. ახლაც ასე იქნება საჭირო...

რკინისგზა გადიოდა იმ კაცის წინ, რომელიც იდგა ბოლოვან ბაქანზე. თუ უბრალოდ შევხედავთ აქედან იმ მხარეს, ვანა შეიძლება ითქვას, თუ საით მიდის ეს რკინისგზა? მაგრამ კაცმა იცოდა, რომ იქ, ვაგონში, ახლა მაგიდაზე გაშლილია რუკა. რუკაზე ჩრდილო-დასავლეთით მიდის სწორედ ეს რკინისგზა. რუკაზე ჩანს, რომ ამ რკინისგზის ბოლო თითქმის პირდაპირ მტრის ფრონტს ებჯინება. ასეა ყოველივეში. საჭიროა გარკვეულობა, საჭიროა გეგმა. კარგად უნდა წარმოიდგინო არა მხოლოდ უნდა, თუ რა სურს მტერს (ეს უდაოა: მას

პიტერის აღება სურს), არამედ ისიც, თუ როგორ ფიქრობს იგი ამის მიღწევას. როგორია პიტერის მისასვლელები? პირველი: პეტროზავოდსკის უბანი, იქ, წინ და მარჯვნივ... ვაარღვიონ ფრონტი, გავიდნენ ზვანკაზე, აღმოსავლეთით მოიცვან პიტერი... მეორე: ოლონეცკის უბანი, ლოდინოვს მინდვრის მიმართულებით. მესამე...

დიდი, მძიმედ მჭმინავი ორთქლმავალი წელა მიადგა მატარებლის თავს. მისი ბუფერის სინათლე ყვითლად და მკრთალად ანათებდა. იქ მდგომი კაცი, ის, რომელიც ასე ეზიზღებოდა და რომლისაც ასე ეშინოდა გრიგოლ ზინოვიევის, თანაც გულდასმით ფარავდა თავის გრძნობებს, — მოტრიალდა და აუჩქარებლად წავიდა თავისი ვაგონისაკენ. კაცი მიაბიჯებდა მატარებლის შედგენილობის გასწვრივ, მისი თვალები კი იცქირებოდნენ ბაქანის ულაამზო ყვეთელი პილასტრების იქით, ვაგონების, სადგურის ფანჯრების იქით, შორს. ის უკვე ხედავდა იქ თავისი ბრძნული გეგმის პირველ რგოლებს, პირველ ნახაზებს.

ვაგონის საფეხურთან მას უცდიდა ფართობეჭებიანი სამხედრო პირი, მფარავი ფერის ბეკეშით და მაუდის მაღალი მუზარადით, რის გამოც ის ძველი ღროის რაინდს ჰგავდა. სამხედროს სახე ვაფერმკრთალებოდა და დაჭმუჭნოდა მრავალი უძილო ღამისაგან, დავიდარაბისა და ფაციფუცისაგან უღვაშები დაშვებოდა, თვალები ძლივს იცქირებოდნენ.

— ამხანაგო სტალინი! — შეწუხებული ხმით დაიწყო მან მაშინვე ლაპარაკი. — ექვსი დეპეშა მოგვაცოლეს... ორი ტელეფონოგრამა... მე სმოლნისთან გამოვარკვეე. გაკეთდება...

სტალინმა ძალიან დაკვირვებით შეხედა ამ კაცს. — კარგი, — უპასუხა მან, — კარგი. ახლა კი წადი და დაიძინე. დაიძინე, ძვირფასო ამხანაგო, ერთი სარკეში ჩაიხედე. რას დაემსგავსე...

— ამხანაგო სტალინი! — თითქმის შეშინდა სამხედრო. — თქვენ? თქვენ ხომ ჩემზე მეტად დაილაღეთ... იქ კი იმდენი დეპეშაა... თქვენ როგორღა... — ეჰ, როგორმე, ცოტაცოტას... — თქვა სტალინმა. ისინი ვაგონში, შევიდნენ. ზარმა სამჯერ დაიკნავლა.

მატარებელი მიდიოდა. სტალინის ვაგონის ფანჯრები განათებული იყო. სინათლის აღმაცერი სვეტები ხან კრილის ფერდობებს ეცემოდა, ხან განაპირა ზოლის გაბურძღვნილ ჩირვებს. ისინი მიწაზე აფენდნენ მოძრავ, პიტერისაკენ მიმსრბოლ ლანდს ადამიანისას, პროფილს. ეს ლანდი ხან დაიხრებოდა მაგიდაზე, ხან ნელნელა ბოლთას სცემდა ვაგონში. მატარებელი მიისწრაფოდა სულ წინ და წინ, ჯიხურიდან ჯიხურისაკენ, გადასავალიდან გადასავლისაკენ, მცირე სადგურიდან მცირე სადგურისაკენ.

გავიდა ნახევარი საათი, შემდეგ — საათი.

მატარებელი მიდიოდა. ვაგონი ირყეოდა პირაპირებზე, ხტებოდა ისრებზე.

სტალინი ბეჭებში ოდნავ წახრილი დადიოდა პატარა მოყვითალო ელნათურით განათებულ სალონში. ის ხანდახან დაინრტებოდა მაგიდაზე გაშლილ რუკაზე, იმ კაცის მახლობლად, რომელიც იმავე მაგიდაზე წერდა რაღაცას.

შეჩერდებოდა, ჩაფიქრდებოდა და უკარნახებდა:

— პეტროგრაძის მისასვლელები — ეს ის პუნქტებია, საიდანაც მტერს, თუ იქიდან წამოვიდა და გაიმარჯვა, შეუძლია ალყა შემოარტყას პეტროგრადს, ჩამოაცილოს იგი რუსეთს და, ბოლოს, დაიპყროს იგი.

„ასეთებია: პეტროზავოდსკის უბანი, რომელსაც ზვანკისკენ აქვს მიმართულება. მიზანი — პეტროგრადის მოცვა აღმოსავლეთით. ოლონეცკის უბანი; მიმართულება — ლოდინოვს მინდორი, მიზანი — ჩვენი პეტროზავოდსკის ჯარებისათვის ზურგიდან შემოვლა; კარელიის უბანი, რომელსაც პირდაპირ პეტროგრადზე აქვს მიმართულება, მიზანი — პეტროგრადის ჩაგდება ხელში ჩრდილოეთიდან; ნარვის უბანი, მიმართულებით გატჩინოსა და კრასნოე სელოსკენ, მიზანი — პეტროგრადის აღება სამხრეთ

დასავლეთით ან, სულ უმცირესი, აღება ხაზისა — გატჩინო-ტოსნო და პეტროგრადის მოცვა სამხრეთით...“

ის უცებ გაჩუმდა. ოდნავ ისვამდა უღვაშებზე ხელს, იდგა, ფიქრობდა და გაცქეროდა იმ კაცის თავს ზევით, რომელიც წერდა, ვაგონის კედლის იქით, გაცქეროდა სადღაც შორს...

— ამ ჯერად მოწინააღმდეგემ სწორედ ეს უბანი აირჩია; შემდეგ, ცხადია, — პსკოვის ფრონტი და ფინეთის ყურე... დიალ, ასეა! მაშასადამე, ამ მიმართულებით უნდა ვეძიოთ ამოცანის გადაჭრა... დიალ, სწორედ ამ...

მატარებელი გუგუუნებდა და წინ მიქროდა სტალინის ვაგონის თანჯრები განათებული იყო.

ირგვლივ კი, გაურკვეველ ბინდებულში, ღამეში, გაწოლილიყო თვალუწვედენელი, უსაზღვრო ქვეყანა. ყოველ მხრივ, აღმოსავლეთით და დასავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთით, შორს გადაჭიმულიყო მისი ველები. მან ჯერ კიდევ არ იცოდა, თუ რა ახალ დავიდარაბას უქადდა მას ხვალინდელი დღე, მან ჯერ კიდევ არ იცოდა, რა უნდა გაკეთებულიყო, რომ აეცილებინა მის თავზე აღმართული მახვილი. სტალინმა კი იცოდა.

აღ. სურავე

რას კითხულობდა სტალინი მოწაფეობისას

მუდამ დიდ ინტერესს იწვევდა და იწვევს დიდი სტალინის მოწაფეობის წლები: როგორ სწავლობდა, რას კითხულობდა, როგორ კითხულობდა?

სტალინის მოწაფეობის წლები ერთი უმშვენიერესი ფურცელია ამ დიდი პიროვნების ცხოვრებისა. სტალინის სკოლის მეგობართა მრავალი მოგონება ამის ბრწყინვალე დამადასტურებელია. ამასვე ამტკიცებს ის დოკუმენტი, რომელიც შეეხება მისი მოწაფეობის ხანას.


რაზე ლაპარაკობენ ეს დოკუმენტები? იმაზე, რომ სტალინი უნიჭიერესი მოწაფე იყო, სწრაფად ითვისებდა ვაგონილს. განსაკუთრებით ყველანი აღნიშნავენ მის დიდ მეხსიერებას და, რაც მთავარია, უდიდეს სიყვარულს წიგნებისადმი. მან გორის სასულიერო სასწავლებელი პირველი ხარისხით დაამთავრა. ბავშვობის დროს უყვარდა ხატვა, ხატავდა კარგად და უმთავრესად ქართველი მწერლების — შოთას, ვაჟას, ილიას სურათებს. მას აგრეთვე ძალიან უყვარდა სხვადასხვა წიგნების კითხვა და თავისი ამხანაგებისათვის წაკითხულის გაზიარება.

არსებობს ერთი შესანიშნავი მოგონება, რომელიც ეკუთვნის დიდი სტალინის სკოლის მეგობარს

პ. კაპანაძეს. ამ მოგონებას ჰქვია „მე უნდა ვნახო ლენინი“. მოგონების ავტორი გვიამბობს, თუ რას კითხულობდა სტალინი გორის სასულიერო სასწავლებელში. „მოწაფეობის წლებში სტალინმა გადაიკითხა თითქმის ყველა წიგნი, რომელიც მოიპოვებოდა გორის ბიბლიოთეკაში, ეგნატე ნინოშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და სხვა. საუკეთესო ნაწარმოებს ის ჩვენც, თავის ამხანაგებსაც, გვირჩევდა წაგვეკითხა და ხშირად წაკითხულის შინაარსსაც გვიყვებოდა. მახსოვს, რა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე ე. ნინოშვილის „გოგია უიშვილმა“, რომელშიაც აღწერილია გლეხობის დაჩაგრული და უუფლებო მდგომარეობა. „საჭიროა სწავლა და სწავლა, — ამბობდა იოსები, — რომ გლეხობას დავეხმაროთ“.

და ის მართლაც ისე კარგად სწავლობდა, რომ შემდგომ შეიქმნა ხალხთა დიდი მასწავლებელი, ხალხთა ბედნიერი ცხოვრების შემოქმედი და მამა.

სემინარიაში ყოფნის დროსაც სტალინი გამოირჩეოდა ამხანაგებისაგან თავისი გამჭრიახობითა და ცოდნით. იგი 15 წლის იყო, როდესაც უკვე იმდენად განვითარებული იყო, რომ პოლიტიკური ხა-



სიათის ლიტერატურასაც კითხულობდა, აქვე ანტი-რელიგიურ წრეს ხელმძღვანელობდა. სემინარია, რომელსაც უნდა გაშოეზარდა მეფის ერთგული ხალხი, მოწინავე მოსწავლეების წყალობით, ხშირად რევოლუციურად განწყობილ ადამიანებს ზრდიდა.

გერმანელ მწერალ ემილ ლუდვიგთან საუბრისას სტალინმა განაცხადა: „...იმ დამამცირებელი რეჟიმისა და იეზუიტური პეტოდეების წინააღმდეგ რომელთაც ადგილი ჰქონდათ სემინარიაში, მე მზად ვიყავ გაემხდარიყავი და მართლაც გავხდი რევოლუციონერი, მარქსიზმის, როგორც ნამდვილად რევოლუციური მოძღვრების, მომხრე“.

სემინარიაში ყოფნის დროს სტალინი ბევრს კითხულობდა ისეთ წიგნებს, რომელთა კითხვა მას აკრძალული ჰქონდა. ის დიდი ოსტატობით ახერხებდა ასეთი წიგნების შოვნას და ფარულად კითხვას. ერთხელ, როდესაც მას ჩამოართვეს ასეთი წიგნები, ეს აღნიშნულ იქნა შემდეგნაირად: „ხსენებელი მოწაფე უკვე მეცამეტედ არის შენიშნული“.

სტალინი უბრალოდ კი არ კითხულობდა წიგნებს, არამედ ამოიწერდა საინტერესო ადგილებს, რომლებსაც შემდეგ სხვებსაც უზიარებდა. 18 წლის

იყო, როდესაც წაკითხული ჰქონდა მარქსის, ენგელსის და ლენინის წიგნები.

პოლიტიკური ლიტერატურის გარდა, სტალინს უყვარდა მხატვრული ლიტერატურა. ლიტერატურისადმი სიყვარულით აიხსნება ისიც, რომ ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“ დაიბეჭდა ჰაბუკი სტალინის ლექსები.

მას უყვარდა შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, რომლის მთელი რიგი თავები ზეპირად იცოდა, მოსწონდა ი. ჭავჭავაძის „კაკო ყაჩაღი“, ვაჟა-ფშაველას პოემები, ალ. ყაზბეგის რომანები. ამ პერიოდშივე წაკითხული ჰქონდა სალტიკოვ-შჩედრინის „ბატონი გოლოვლიოვები“, გოგოლის „მკვდარი სულები“, პუშკინი, ნეკრასოვი, უცხოეთის მწერლებიდან შექსპირი, ერკმან-შატრიანის „გლეხიკაცის ისტორია“, შილერის „ყაჩაღები“, ტეკერეის „ცხოვრების ორომტრიალის ბაზარი“, ვ. ჰიუგოს „93 წელი“

დიდ ბელადს ახლაც უყვარს მხატვრული ლიტერატურიდან მაგალითების მოყვანა თავის მოხსენებებში.

მოსწავლეთა შემოქმედება

სმს მიუკუჲ

ხმას მივცემ, ვინც არის
სიმართლის მსახველი,
ვინც გახსნა საამურ
ცხოვრების კარები—
და ვისი ბრწყინვალე,
დიადი სახელი
მაცოცხლებელია
მთელ პროლეტარების.

ხმას მივცემ დიდ ბელადს,
უბადლო აზრისას,
ვინც მოგვცა ქვეყანა
ვარდებით მორგული,
ვინც გაანადგურა,
მოსპო და გასრისა
ამ ალორძინებულ
სამშობლოს ორგული.

ვახტანგ ჯავჭავაძე.

თბილისის მე-30 საშუალო სკოლის მოსწავლე.

სტალინს

ხალხის რჩეულო, ვაჟაკო და არწიგო
მთისავე,
შეუპოვარო, ქართველში
გამოწრთობილო,
ხარ გოლიათი, ვერ შეგაკრთობს
მუქარა მტრისა,
მილიონების სიხარულად
ქვეყნად შობილო.
შენი სახელი, დე, შეამკოს
მძლავრ სიმღერებმა,
ხარ სიხარული, ხალხის სიბრძნე
დაუშრობელი,
შენ შეგვიქენი მშრომელ ხალხებს
ბედნიერება,
შენა ხარ ჩვენი ბრძენი მამა,
მამა მშობელი!

სოლომონ ზარიძე

თბილისის მე-30 საშუალო სკოლის მოსწავლე.

სიმღერა სტალინზე

ამ ბედნიერ ქვეყანაზე
გულმა გული მონახა,
შენ ცხოვრებას ალამაზებ,
საქმით ქვეყნის ტოლა ხარ,
საყვარელო, მოკაშკაშევე,
ვარსკვლავების კონა ხარ.

ვაჟკაცს მოგყვა სიხარული
და ცხოვრება ნათელი,
დგეხარ მარად ანთებული
გმირი შეუღალხველი,
ამ ბედნიერ საუკუნეს
ჰქვიან შენი სახელი.

ვძლიეთ შენი ბელადობით
გრიგალებს და ქარ-წვიმებს,
სისწრაფეში ტყვიას ვჯობდით,
ცა მკერდებით ავწიეთ,
შენი აზრი გზას უნათებს
საბჭოეთის არწივებს.

იცოცხლე და იღლეგრძელე,
სანამ მზე და მთვარეა,
სანამ ცაზე მოციმციმე
ვარსკვლავები ყვავიან,
შენ გადიდებთ, დიდო სტალინ,
სანამ მთა და ბარია!

ვახტანგ მარტიროსოვი

თბილისი, მე-31 სრ. საშ. სკოლის მოსწავლე

ძვირფას სტალინს

სტალინ, საუნჯევე ძვირფასო,
გენიავ, ხალხთა ბელადო,
შენს ძვირფას სახელს მღერიან
ქარხნებში, მინდვრად, ველადო.

ზოგმა ლექსი და პოემა,
რომ მაღალი ხარ ყველაზე.

ზოგმა მუსიკა შეგიქმნა,
ზოგმა „სიმღერა ბელადზე“.

იცოცხლე მუდამ, იცოცხლე,
ჩვენო ძვირფასო ბელადო,
რომ ვქვექით შენი სახელი,
ვიმღეროთ ქარხნად, ველადო.

რილანდ ბერიძე.

სიღნაღი, არასრული საშუალო სკოლის მოსწავლე

ბელადი

ნეტავ იმ დედას, ვინც რომ აკვანი შენი არწია,
ვინც გამოგზარდა ლომგულ ვაჟკაცად ჩვილი, პაწია.
შენ შეეზარდე მთების მწვერვალებს ვით შევარდენი,
ბრძოლების ალებს ანთებდა ყველგან მოწოდებები მქუხარე შენი.

ბევრჯერ მოგწყვიტეს მშობელ ქვეყანას და გაგაგზავნეს ციმბირისაკენ,
ბევრჯერ დაუსხლტი ბოროტთ კლანჭიდან და კვლავ განაგრძე დიადი საქმე.
სამოცი წელი დღეს გისრულდება, მშრომელი ხალხის გულის გამთბობო.
ათის სამოც წელს კიდევ იცოცხლე, ამომავლო მზეო მნათობო!


გურამ ასათიანი

თბილისის მე-18 სრ. საშ. სკოლის მე-4 კლასის მოსწავლე.

ბასარტობი



სწრაფად გადაწყვიტეთ




თუ თქვენ დაკვირვებულნი ხართ, ამ ამოცანას ორ წუთში გადასწყვეტთ. უნდა იპოვოთ ოთხი რიცხვი, რომელთა ჯამიც უდრის 384-ს. თუ პირველ საბოლოო რიცხვს მიუმატებთ 7-ს, მეორეს გამოაკლებთ 7-ს, მესამეს გაამრავლებთ 7-ზე, ხოლო მეოთხეს გაყოფთ 7-ზე, მიიღებთ ერთი და იგივე პასუხს. ეს პასუხი დაგეხმარებათ ოთხი რიცხვის მოძებნაში.

ციხე-დარბაზის საგანძური

ნახაზზე გამოსახულია გეგმა საშუალო საუკუნეების მიწისქვეშა ციხე-დარბაზისა, რომლის ერთ-ერთ განყოფილებაში ციხე-დარბაზის პატრონს ჩატანებული ჰქონდა განძეულობა.

ანდერძში, რომელიც პატრონის სიკვდილის შემდეგ იპოვეს, მითითებული იყო, თუ როგორ უნდა მოენახათ მიწისქვეშა დამალული განძი. ამისათვის საჭირო იყო მიწის ქვეშა ციხე-დარბაზის ერთ-ერთ განაპირა განყოფილებაში შესვლა და აქედან დაწყებული ყველა კარის გაღვა თითოჯერ. უკანასკნელად გავლილ კარებთან, მარცხნივ, კედელში ჩატანებული იქნება ძვირფასეულობა.

საჭიროა ამ ნახაზზე გვიჩვენოთ ადგილი, სადაც დამალული იყო განძი.



პასუხი „პიონერის“ № 10-ში მოთავსებულ
გასაბარტოგზე

არითმეტიკული ლაბირინტი.

დიდ წრეში უნდა ჩასწეროთ ჯამი შემდეგი რაოდენობით: 1051.